



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



RURAL AND
AGRICULTURAL
POLICY AND
DEVELOPMENT
INSTITUTE



OXFAM

შელავათიანი აბროკრედიტის პროგრამის შეფასება

2017 მაისი



კვლევა მომზადდა რეგიონალური პროექტის "ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერთა მხარდაჭერა" ფარგლებში. კვლევის ავტორია სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტის (RAPDI) ექსპერტი ირაკლი მოისწრაფიშვილი. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს "ოქსფამის" და ევროკავშირის შეხედულებებს.

შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება

მაისი, 2017

სარჩევი

| | |
|---|----|
| 1. კვლევის მოკლე შეჯამება | 4 |
| 1.1. კვლევის მიზანი | 4 |
| 1.2. კვლევის მეთოდოლოგია | 4 |
| 2. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიმოხილვა | 7 |
| 2.1. პროექტის წინაპირობები | 7 |
| 2.2. პროექტის აღწერა | 8 |
| 2.3. პროექტის ბიუჯეტი | 15 |
| 2.4. ინდიკატორები და M&E | 15 |
| 3. პროექტის 2013-2016 წლების სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და ანალიზი | 18 |
| 3.1. კოოპერატივები | 25 |
| 3.2. პროგრამის აღქმა მცირე ფერმერების მხრიდან | 29 |
| 4. პროექტის მაკრო და მიკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი | 32 |
| 5. შემზღუდველი ფაქტორები და გამოწვევები | 34 |
| 6. დასკვნები და წინადადებები | 37 |
| | |
| დანართი 1. კითხვები ფოკუს ჯგუფისთვის | 39 |
| დანართი 2. კითხვარი | 40 |

1. კვლევის მოკლე შეჯამება

1.1 კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამის შეფასება. აღნიშნული კვლევა ემსახურება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას არსებულ ვითარებაზე მორგებული პოლიტიკის დაგეგმარებაში, რაც თავის მხრივ თანხვედრაშია საქართველოს 2020 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საქართველოს მთავრობისთვის არსებულ რეალობაზე მორგებული პოლიტიკის დაგეგმარების მხარდასაჭერად, სადაც აქცენტი გაკეთდება მცირე ფერმერებზე (როგორც კაცებზე, ასევე ქალებზე). აგრეთვე, შედეგები გამოყენებული იქნება როგორც ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ასევე ზოგადად მოსახლეობაში პროექტის ცნობადობის ასამაღლებლად განხორციელებული კამპანიისთვის.

კვლევა აღწერს „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამის წინაპირობებს და მცირე ფერმერთა მიმართებაში ახდენს მნიშვნელოვანი ფაქტების და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირებას. კვლევა ფოკუსირდება მცირე ფერმერთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შემზღვეველ ფაქტორებზე. შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, კვლევა იძლევა პასუხებს კონკრეტულ გამოწვევებზე და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს აძლევს გამოწვევების გადალახვისთვის აუცილებელ რეკომენდაციებს.

1.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა არსებული მასალა თუ კვლევა, „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან“ მიღებული პროექტთან დაკავშირებული მონაცემები და „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკა. გარდა ამისა, ჩატარდა სავსე კვლევა, რომელიც მოიცავდა პროექტის ბენეფიციარი მცირე ფერმერების კითხვარის მეშვეობით გამოკითხვას, პირისპირ ინტერვიუებს და დარგის ექსპერტებთან ფოკუს ჯგუფის ჩატარებას.

არსებული მასალების მიმოხილვა

არსებული მასალების მიმოხილვა მოიცავს არსებული სტატისტიკური მონაცემების, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ პროექტთან დაკავშირებული კვლევების, ასევე სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების შეგროვებას და დეტალურ ანალიზს. არსებული მასალების მიმოხილვა ფარავს პროექტის განხორციელების სრულ პერიოდს, მისი დაწყებიდან 2016 წლის ჩათვლით. ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. 2016 წელს RAPDI-მ განახორციელა შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ზოგადი შეფასება, რომლის პროცესშიც მოპოვებული დოკუმენტაცია და მონაცემები, ასევე საბოლოო ანგარიშში გამოქვეყნებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა ზემოთ აღწერილი არსებული მასალების მიმოხილვის პროცესში.

საველე კვლევა

საველე კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სამი კვლევითი ინსტრუმენტი: შესაბამისი დარგის ექსპერტებით დაკომპლექტებული ფოკუს ჯგუფი, ბენეფიციარების კითხვარის მეშვეობით გამოკითხვა და მათთან პირისპირ ინტერვიუ.

ფოკუს ჯგუფი (ექსპერტები)

ფოკუს ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პროექტის ზოგადი მიმდინარეობის, მისი წარმატების ხარისხის შეფასება და მის ფარგლებში გამოვლენილ პრობლემებზე და გამოწვევებზე მსჯელობა. ასევე, პროექტის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ფოკუს ჯგუფის მიზნის მისაღწევად, RAPDI-მ შეარჩია შესაბამისი დარგის ექსპერტები, რომლებიც პროექტის შემუშავების ან/და განხორციელების პერიოდში ჩართულნი იყვნენ მისი განვითარების, მართვის ან მიმდინარეობის შეფასების პროცესებში: სააგენტოს და პროექტში ჩართული კომერციული ბანკების წარმომადგენლები, ასევე სასოფლო-სამეურნეო ექსპერტები.

ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო თემების ჩამონათვალი იხილეთ დანართში 1.

ბენეფიციარების გამოკითხვა

კვლევის ფარგლებში, 5 რეგიონში პროექტის ბენეფიციარებთან და აპლიკანტებთან ჯამში განხორციელდა 6 შეხვედრა, საიდანაც კახეთში განხორციელდა 2, ხოლო ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამეგრელოში და აჭარაში თითო-თითო შეხვედრა. შედეგად, სულ გამოიკითხა 146 მცირე ფერმერი, რომელთაგანაც 29% წარმოადგენდა ქალ მცირე ფერმერს. რესპოდენტთა შერჩევის კრიტერიუმები იყო შემდეგი:

1) მცირე ფერმერი - კვლევის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე „მცირე ფერმერი“ განისაზღვრა როგორც ფერმერი, რომელმაც 2013-2014 წლების პერიოდში პროექტში ჩართულ კომერციულ ბანკში შეიტანა განაცხადი 5,000-დან 20,000-მდე ლარის ოდენობის აგროსესხით სარგებლობის თაობაზე. 2015-2016 წლებში, მცირე ფერმერების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანების წასახალისებლად, პროექტის ფარგლებში გასაცემი აგროსესხის 5,000 ლარიანი ქვედა ზღვარი გაიზარდა 20,000 ლარამდე. შესაბამისად, 2015-2016 წლების პერიოდის მონაცემების ანალიზისას, კვლევა ფოკუსირებას ახდენს არა მცირე ფერმერებზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე.

2) სქესი - ბენეფიციართა შერჩევის ერთ-ერთ წინაპირობად დადგენილი იყო, რომ თითოეულ ჯგუფში მონაწილეთა მინიმუმ 20% უნდა ყოფილიყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ კვლევის ანგარიში არ გამოყოფს მონაცემებს ქალ ფერმერებთან დაკავშირებით, რადგან კვლევის შედეგების თანახმად ქალი ფერმერები არ აწყდებიან სქესთან დაკავშირებულ ფორმალურ თუ არაფორმალურ ბარიერებს, რაც მათ შეუზღუდავდა პროექტის ფინანსურ სარგებელზე წვდომას. თუმცა, პროექტის ფარგლებში მათთვის არც რაიმე სახის ფორმალური წამახალისებელი ასპექტებია მოაზრებული.

გამოკითხვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად პასუხობს პროექტი მცირე ფერმერების საჭიროებებს, რა დაბრკოლებებს გადააწყდნენ ისინი პროექტით სარგებლობისას და რა ზეგავლენა მოახდინა პროექტმა აღნიშნულ სამიზნე ჯგუფზე.

კითხვარი იხილეთ დანართში 2.

პირისპირ ინტერვიუ

ინტერვიუს ძირითად მიზანს წარმოადგენდა არსებული მასალების მიმოხილვისას, ფოკუს ჯგუფის და გამოკითხვისას მოპოვებული მონაცემების/ინფორმაციის გადამოწმება და სრულყოფა.

რესპონდენტთა გამოკითხვის და ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლინდა ის თემები, სადაც უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება იყო საჭირო. ესენია: პრობლემები და გამოწვევები, რომლებსაც გადააწყდნენ მცირე ფერმერები, პროექტის ზეგავლენა მათ კეთილდღეობაზე და მათ მიერ პროექტის აღქმა. ინტერვიუები ჩატარდა რამდენიმე მცირე ფერმერთან და ასევე კოოპერატივების წარმომადგენლებთან.

2. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიმოხილვა

2.1. პროგრამის წინაპირობები

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას ახორციელებს - ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამა დაიწყო 2013 წლის 27 მარტს. 2013 წელს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ დაფინანსება ხდებოდა ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან - სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კვლევის პერიოდი მოიცავს პერიოდს პროექტის დაწყებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოსთვის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნულის მისაღწევად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და გრძელვადიანი ფულადი სახსრებით, ასევე ამ სახსრების მიღებისა და დაბრუნების ხელსაყრელი პირობების არსებობა.

სასოფლო სამეურნეო სექტორი ხასიათდებოდა მსგავსი ფინანსური რესურსების სიმცირით/არ არსებობით. სოფლის მეურნეობა საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციებისთვის მაღალი რისკების შემცველ დარგად იყო შეფასებული. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთები გაცემულ აგროკრედიტებზე ბევრად აღემატებოდა სხვა სახის კრედიტების საპროცენტო განაკვეთებს. გარდა თავად დარგის მაღალი რისკიანობისა, საპროცენტო განაკვეთების სიდიდე ასევე განპირობებული იყო ფერმერების ხელთ არსებული, კრედიტის უზრუნველსაყოფად საჭირო ქონების ნაკლებობით და/ან დაბალი ღირებულებით. სოფლად არსებული უძრავი ქონება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (არსებობის შემთხვევაში) იყო მოძველებული, ხოლო მიწას არ გააჩნდა საკმარისი ღირებულება კრედიტის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კრედიტის მსურველი აგრო მეწარმე იღებდა მცირე ოდენობის საკრედიტო თანხას, მაღალი საპროცენტო განაკვეთით და მოკლე ვადით, რაც სოფლის მეურნეობის, როგორც ბიზნესის, განვითარებას ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდა.

ბანკებში სხვა სახის სესხებთან შედარებით, აგრო სესხების სიმცირის გამო, ბანკები აგრო დაკრედიტებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების გაძლიერებასა და განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. შესაბამისად არ ხდებოდა აგროდაკრედიტების კომპეტენციისა და გამოცდილების დაგროვება და აგრო საკრედიტო სტრატეგიების შემუშავება ბანკებში, რასაც დარგის დაკრედიტების გაუმჯობესება და გაფართოება უნდა გამოეწვია.

აგრო მეწარმეთათვის ფულად სახსრებზე, განსაკუთრებით დაბალპროცენტოვანი და გრძელვადიანი სესხებზე, შეზღუდული ხელმისაწვდომობა განაპირობებდა ბევრი სახის პრობლემას:

- ✓ დროული და საკმარისი რაოდენობით ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებების არ არსებობა;
- ✓ თანამედროვე და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და მანქანა-დანადგარების ნაკლებობა;

- ✓ მოსავლის შემდგომი დამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სიძველე, არაეფექტურობა და ნაკლებობა და სხვა.

არსებულ სიტუაციაში გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულ პირთათვის ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება, რაც უნდა ასახულიყო საბანკო და საფინანსო სექტორის მხრიდან აგრო მეწარმეების დაფინანსების გამარტივებაზე, საკრედიტო რესურსების გაიაფებაზე და მათ გრძელვადიან ხელმისაწვდომობაზე. სწორედ ამ მიზნით, 2013 წლის მარტში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ დაიწყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება.

ქვეყანაში არსებული 19 კომერციული ბანკიდან პროექტში ჩაერთო 15 უმსხვილესი ბანკი. აგროკრედიტების გაცემას უზრუნველყოფდნენ კომერციული ბანკები. პროექტების მიღება, განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ, აღნიშნულ პროცესში სახელმწიფო უწყებების ჩარევის გარეშე.

2.2. პროექტის აღწერა

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიზანს წარმოადგენს - სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით.

პროექტის ძირითადი ამოცანებია:

- ადგილობრივი ხარისხიანი პროდუქციის შექმნის ხელშეწყობა;
- პროდუქციის დამუშავების, შენახვის, გადამამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო დამატებითი ღირებულების რგოლების გაძლიერება;
- სოფლად მაცხოვრებელთათვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროექტის კომპონენტები

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ საწყის ეტაპზე სააგენტო ფერმერებს და აგრო მეწარმეებს საკრედიტო ინსტიტუტებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლების მეშვეობით სთავაზობდა სამი სახის შელავათიან კრედიტს, ესენია:

კომპონენტი 1: უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის

სააგენტოს მიერ საფინანსო ინსტიტუტებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე ორგანიზაციებსა და მაღაზიებს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, მასზედ, რომ მაღაზია უწერს ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს), რომელსაც ანაზღაურებს საფინანსო ინსტიტუტი. საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, გამოიტანოს მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები, რის საფასურსაც მაღაზიას დათქმულ ვადაში გადაუხდის საფინანსო ინსტიტუტი, ფერმერის მიერ წარმოდგენილი მაღაზიის ანგარიშის (ინვოისის) შესაბამისად. სეზონის დასრულების შემდეგ ფერმერი/მეწარმე გადაუხდის სასაქონლო კრედიტს საფინანსო ინსტიტუტს, სესხის დამტკიცების მომენტიდან ფერმერის მიერ მიღებული საქონლის ჯამური ოდენობის შესაბამისად, დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე. ამ დროისთვის, საფინანსო ინსტიტუტს დამტკიცებული სესხის სრული ოდენობა უკვე გადახდილი ექნება მომწოდებლის/მაღაზიისთვის. ამ შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი საპროცენტო სარგებელს არ ახდევინებს ფერმერს და ამის სანაცვლოდ, მაღაზიის მიერ ფასდაკლებას დაიტოვებს, როგორც მომსახურების საფასურს.

კომპონენტი 2: შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების დაფინანსება მოკლე ვადით)

აღნიშნული კომპონენტი ძირითადად ემსახურება საშუალო და მსხვილი ფერმერების დაფინანსებას. ფერმერთა ამ კატეგორიის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ ან ნახევრად პროფესიონალ მეწარმესთან (ფერმერთან), რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი აგრო საქმიანობიდან იქმნება. სახელმწიფოს ინტერესს ფერმერთა სწორედ ასეთი კლასის (ინიციატივის მქონე აგრო მეწარმეების) განვითარება წარმოადგენს, ვინაიდან მათი იმედგაცრუება თუ მაღალი მოტივაცია პირდაპირპროპორციულად აისახება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. შესაბამისად, ამ კატეგორიის ფერმერების ხელშეწყობა იაფი და მათზე მორგებული კრედიტების გაცემის გზით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სტაბილური განვითარებისთვის.

კომპონენტი 3: შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით)

შეღავათიანი აგროკრედიტის ეს კომპონენტი გულისხმობს დიდი ფერმერული მეურნეობების, მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის (შემნახველი, სასაწყობე, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები, სარწყავი სისტემები) პროექტების განვითარების მხარდაჭერას იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით.

პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე გამოიკვეთა მისი სრულყოფის და დამატებების შეტანის აუცილებლობები, რაც განპირობებული იყო აგრარული დარგის მეწარმეთათვის უკეთესი ფინანსური სერვისის შეთავაზების სურვილით. ასე, მაგალითად:

- 2013 წლის ზაფხულში პროექტს დაემატა მე-4 და მე-5 კომპონენტები - „შელავათიანი აგროლიზინგისა“ და „ყურძნის შესყიდვისთვის გამიზნული“ კომპონენტების სახით, ხოლო შემოდგომაზე დაემატა მე-6 კომპონენტი „მანდარინისა და სამრეწველო ვაშლის შესყიდვისთვის განკუთვნილი“ კომპონენტის სახით;
- 2014 წლის გაზაფხულზე პროექტს დაემატა მე-7 კომპონენტი „შელავათიანი აგროკრედიტი სახელმწიფო თანადაფინანსებით დაფინანსებული საწარმოებისთვის“, ხოლო ზაფხულში მე-8 კომპონენტი, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აგრო მიმართულების დაფინანსების კომპონენტს.

კომპონენტების უნიფიცირებისა და გამარტივების მიზნით, 2014 წლის შემოდგომაზე პროექტმა განიცადა სახე-ცვლილება. კომპონენტები დაიყო წარმოების საშუალებების დანიშნულებისა (ძირითადი ან საბრუნავი) და ფინანსური პროდუქტის ტიპების (კრედიტი, ლიზინგი, აწარმოე საქართველოში) მიხედვით. მანამდე კომპონენტები დაყოფილი იყო თანხების სიდიდისა და სესხების მიზნობრიობების/დანიშნულებების მიხედვით, მაგ: ძირითადი ან საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, მხოლოდ ყურძნის, მანდარინის, ატმის და/ან სამრეწველო ვაშლის შეძენის დაფინანსება.

2015 წელს, კოოპერატივების შექმნის წახალისების მიზნით, პროგრამის ორივე კომპონენტში (საბრუნავი საშუალებები და ძირითადი საშუალებები) განხორციელდა ცვლილებები. საბრუნავი საშუალებების კომპონენტით ძირითადად სარგებლობდნენ მიკრო და მცირე ფერმერები, თუმცა მისი ეფექტი უფრო სოციალური იყო. ფინანსური (სახელმწიფო) რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული კომპონენტი შეიცვალა და ამჟამად მის ფარგლებში ხდება მხოლოდ სეზონური პროექტების დაფინანსება გადამამუშავებელი საწარმოებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება უკავშირდება სესხის ქვედა ზღვარს, რომელიც 5,000-დან 20,000 ლარამდე გაიზარდა. ამ ცვლილების მიზანი იყო მცირე ფერმერების წახალისება, რომ გაერთიანდნენ და შექმნან კოოპერატივები. ეს მათ საშუალებას მისცემს გაზარდონ წარმოება და შეისყიდონ ისეთი ტექნოლოგიები/დანადგარები, რომლის შესყიდვასაც ინდივიდუალურად ვერ შეძლებენ. საბოლოო ჯამში, ასეთი გაერთიანება შექმნის უფრო ძლიერ ფერმერს, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებას.

2017 წელს განხორციელდა სესხის ვალუტასთან და სესხის ვადასთან დაკავშირებული ცვლილებები. მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შელავათიანი აგროკრედიტი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაიცემა. აღნიშნული ცვლილებები თანხვედრაშია ქვეყნის ლარიზაციის სახელმწიფო გეგმასთან და სესხების ლარში აღების სტიმულირებას ახდენს. სავალუტო რისკების თავიდან აცილების მიზნით, ბენეფიციარებისთვის გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში გაიცემა.

გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა სესხის მაქსიმალურ ვადასთან დაკავშირებითაც. შელავათიანი აგროკრედიტის პროექტში განხორციელებულ ცვლილებებამდე, ძირითადი საშუალებების კომპონენტში სესხის მაქსიმალური ვადა განსაზღვრული იყო 7 წლით. ცვლილებების თანახმად, სესხის ვადის შეზღუდვა მოიხსნა. სესხის საპროცენტო განაკვეთის

თანადაფინანსების პერიოდი განისაზღვრა პირველი ტრანშის გაცემიდან 66 თვის ვადით. ბენეფიციარებს შესაძლებლობა მიეცათ ისარგებლონ როგორც ფიქსირებული, ისე მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით და გააკეთონ მათთვის ოპტიმალური არჩევანი.

კვლევის პერიოდში, შეღავათიანი აგროკრედიტის დებულებამ საბოლოო სახე მიიღო მთავრობის #246 დადგენილების (13 თებერვალი, 2017 წელი) საფუძველზე.

შესაბამისად, დღეისათვის „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ (შემდგომში - პროექტი) შედგება შემდეგი ფინანსური პროდუქტებისგან:

1) შეღავათიანი აგროკრედიტი ორი კომპონენტით:

შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისთვის საბრუნავი საშუალებებისთვის გამოყოფილ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთების გარკვეული ნაწილის დაფინანსებას სააგენტოს მიერ. პროექტის ფარგლებში, აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად გაიცემა ბენეფიციარებისთვის შემდეგი ქვეკომპონენტების ფარგლებში:

- ა) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები;
- ბ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შექმნას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით;
- გ) ატმის შემსყიდველი საწარმოები;
- დ) არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები;
- ე) მანდარინის შემსყიდველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოები.

შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის. პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებებისთვის სესხი გაიცემა ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების, მოდერნიზაციის ან/და არსებულ საწარმოებში სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად. აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს 20,00-დან 1,500,000 ლარამდე აგრო-სესხების გაცემას (ფიზიკური პირების შემთხვევაში 20,00-დან 75,000 ლარამდე). აღნიშნულ კომპონენტს გააჩნია შემდეგი ქვე-კომპონენტი:

ა) ქვე-კომპონენტი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის (ალკოჰოლური სასმელები). აღნიშნული ქვე-კომპონენტი იყოფა 2 კატეგორიად:

- ✓ ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ შეღავათიანი აგროკრედიტ(ებ)ის მიმდინარე ნაშთის ჯამური მოცულობა წინამდებარე ქვეკომპონენტის ფარგლებში შეადგენს 20,000 ლარიდან 1,500,000 ლარს;

- ✓ ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ შეღავათიანი აგროკრედიტ(ებ)ის მიმდინარე ნაშთის ჯამური მოცულობა წინამდებარე ქვეკომპონენტის ფარგლებში შეადგენს 1,500,001 ლარიდან 5,000,000 ლარს.

2) შეღავათიანი აგროლიზინგი

აგროლიზინგის კომპონენტი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით ისარგებლებენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), ან ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამამუშავება), ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს, ასევე ის საწარმოები, რომელთაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დამტკიცებული აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსება.

3) პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

“აწარმოე საქართველოში” პროგრამას ახორციელებენ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და ახალი საწარმოების შექმნის, ასევე არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა.

შეღავათიანი აგროკრედიტის, როგორც ფინანსური პროდუქტის, პირველ (საბრუნავი საშუალებების) კომპონენტში გაერთიანდა უკვე ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე-2, მე-5 და მე-6 კომპონენტები, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის, როგორც ფინანსური პროდუქტის, მეორე (ძირითადი საშუალებების) კომპონენტში შევიდა ყოფილი მე-3 და მე-7 კომპონენტები.

ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის 1-ლი კომპონენტი გაუქმებულ იქნა, მასში სააგენტოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობის არ არსებობის გამო, რაც მხოლოდ დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში საკმაოდ კარგი შედეგი იქნა მიღწეული პროექტის დაწყების პირველივე წელს. 6000-მდე ფერმერზე გაიცა 2 მლნ ლარამდე შეღავათიანი აგრო განვადება ისეთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო საშუალებებზე, როგორებიცაა სათესი და სარგავი მასალა, სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასოფლო სამეურნეო ინვენტარი და სხვა.

კომპონენტის გაუქმებაში იგულისხმება, რომ მასში სააგენტოს ჩართულობა შეწყდა, ვინაიდან აღარ არსებობდა ფასილიტაციის საჭიროება. ამ კომპონენტში რეალურად მონაწილე სხვა მხარეებმა (იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლები) სააგენტოს გარეშეც გააგრძელეს თანამშრომლობა.

ვინაიდან ლიზინგი და კრედიტი განსხვავებული ფინანსური პროდუქტებია, ამიტომ ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე-4 კომპონენტი ჩამოყალიბდა ცალკე ფინანსურ პროდუქტად.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ იქნა ყოფილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მე-8 კომპონენტი გამოყოფილი ცალკე ფინანსურ პროდუქტად, არსებობს რამდენიმე მიზეზი:

- აღნიშნული კომპონენტი წარმოადგენდა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სოფლის მეურნეობის მიმართულელებას;
- გააჩნდა ასევე ქვე-კომპონენტები: ბენეფიციარების ინფრასტრუქტურული (ქონებრივი) მხდააჭერის და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის (მენეჯმენტის ტრენინგი, კადრების გადამზადება და სხვა) სახით;
- ითვალისწინებდა მხოლოდ ახალი საწარმოების (სტარტაპების) დაფინანსებას;
- ერთ ბენეფიციარზე გაიცემოდა როგორც სესხი, ასევე ლიზინგი;
- კომპონენტის ფარგლებში ფინანსდებოდა როგორც ძირითადი საშუალებები (გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა/შექმნა), ასევე საბრუნავი საშუალებები (სასტარტო კაპიტალის ჩათვლით)¹;
- სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით უფრო კომპლექსური მონიტორინგის პროცესის არსებობა, რაც ასევე გულისხმობდა ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების აღებას, აღებული ვალდებულებების შესრულების დეკლარირებას გარკვეული პერიოდულობით და სააგენტოს მიერ მათ გრძელვადიან მონიტორინგს. მაგ.: სესხის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში ბენეფიციარს უნდა აემოქმედებინა საწარმო, ხოლო საწარმოს ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში უნდა შეენარჩუნებინა პროფილი.

პროექტში ჩართული მხარეები

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის კომპონენტები სააგენტოს მიერ ყალიბდებოდა ფინანსურ ინსტიტუტებსა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლებთან კონსულტაციების, ასევე ბენეფიციარებთან უშუალო კომუნიკაციის საფუძველზე. მათი სრულფასოვანი ჩართულობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში წარმოადგენდა სწორედ წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ჩართული მხარეები შემდეგი სახის კონტრიბუციას ეწევიან პროექტის განხორციელებაში:

ფინანსური ინსტიტუტები:

- უზრუნველყოფენ დაბალ საპროცენტო განაკვეთს სასაქონლო განვადებაზე;
- გასცემენ კრედიტებს საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად;
- გრძელვადიანად გასცემენ ძირითად საშუალებებს ლიზინგით.

მომწოდებლები :

¹ შენიშვნა: ძირითადი და საბრუნავი საშუალებების თანაფარდობა წარმოადგენდა სესხის თანხიდან მინიმუმ 80% ძირითად საშუალებებზე და მაქსიმუმ 20% საბრუნავ საშუალებებზე.

- საკრედიტო ინსტიტუტებთან შეთანხმებით განსაზღვრავენ 0%-ან ეფექტურ განაკვეთს ფერმერისთვის, სასაქონლო განვადების შემთხვევაში (2014 წლის 1 იანვრიდან სააგენტოს ჩართულობის გარეშე).

სააგენტო :

- ახდენს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების შესაბამისად საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო ხარჯების საგრანტო თანადაფინანსებას, საბრუნავი საშუალებების შემთხვევაში წლიურად 8%-ს, ხოლო ძირითადი საშუალებების შემთხვევაში - წლიურად 11%-ს (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე 9% და 12%);
- აფინანსებს ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალებების გადასახადს წლიური 12 %-ით (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ ლიზინგებზე 13%);
- სესხის ძირითადი თანხის ნახევარს უზრუნველყოფს საგრანტო წერილით (მეორადი უზრუნველყოფა);
- სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფილი სესხის ჩამოწერის შემდეგ, საფინანსო ინსტიტუტის სურვილის შემთხვევაში, გარანტირებულად შეისყიდის სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულ მიწას, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული ფასის შესაბამისად;
- მონიტორინგს უწევს პროცესებს, რომ დაცული იყოს შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემის და მომსახურების პირობები.

კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს ფუნქციას წარმოადგენდა მხოლოდ ფასილიტაციის გაწევა საკრედიტო ინსტიტუტებსა და სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლებს შორის, ისიც პროექტის საწყის ეტაპზე. სხვა ყოფილი კომპონენტების და ამჟამად ფინანსური პროდუქტების ფარგლებში სააგენტო არ არის ჩართული სესხის და/ან ლიზინგის დამუშავებისა და გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის და ლიზინგის გაცემის პირობების დამდგენი და ყველა ბენეფიტის გამცემი სწორედ სააგენტოა. ბანკები და სალიზინგო კომპანიები სესხის დამუშავებას და გაცემას ახდენენ მათთან არსებული პროცედურებისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების შესაბამისად ისე, რომ სააგენტო არც ერთ ეტაპზე არ ერევა მათ საქმიანობაში და მითუმეტეს გადაწყვეტილების მიღებაში. გაცემის შემდეგ სააგენტო მონიტორინგს უწევს სესხებს და ლიზინგებს, თუ რამდენად შეესაბამება მათი გაცემა (ბანკების მხრიდან) და ათვისება (ბენეფიციარების მხრიდან) შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობებს.

ელექტრონული კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტომ შეიმუშავა პროგრამული უზრუნველყოფა, რაც პროექტში ჩართულ მხარეებს ზემოთჩამოთვლილი საქმიანობების პირდაპირ (ე.წ. „ონლაინ“) რეჟიმში წარმოების საშუალებას აძლევს. ბუნებრივია ამით გამარტივებული და უფრო ეფექტურია აღნიშნული საქმიანობების კოორდინირებულად წარმართვა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა გახდა ასევე სხვა სახელმწიფო პროგრამის, მაგ: სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კონცეპტუალური შემადგენელი.

2.3. პროექტის ბიუჯეტი

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, შეღავათანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ორივე (საბრუნავი და ძირითადი საშუალებების) კომპონენტის ფარგლებში გაცემულ კრედიტზე ფერმერების და აგრომეწარმეების საპროცენტო გადასახადების თანადაფინანსების მიზნით, სააგენტოს მხრიდან გაცემულია სუბსიდია 132,722,877 ლარის ოდენობით. სუბსიდიები გაცემული მცირე ფერმერებზე (2013-2014 წლებში 5,000-20,000 ლარის ოდენობის სესხებზე) და კოოპერატივებზე მოცემულია ცხრილებში (1ა და 1ბ):

ცხრილი 1ა. შეღავათიან აგროკრედიტში 5000-20000 ლარის სესხებზე სააგენტოს მიერ გადახდილი პროცენტი, 31.12.2016 მდგომარეობით

| წელი | ლარი | აშშ დოლარი |
|-------------|------------------|--------------|
| 2013 | 474,192 | 286 |
| 2014 | 5,014,105 | 1,274 |
| ჯამი | 5,488,297 | 1,560 |

ცხრილი 1ბ. შეღავათიან აგროკრედიტში კოოპერატივებზე გაცემულ სესხებზე სააგენტოს მიერ გადახდილი პროცენტი, 31.12.2016 მდგომარეობით

| წელი | ლარი | აშშ დოლარი |
|-------------|---------------|----------------|
| 2013 | | 2,726 |
| 2014 | 6,195 | 5,029 |
| 2015 | 27,138 | 25,507 |
| 2016 | 48,489 | 93,673 |
| ჯამი | 81,823 | 126,936 |

2.4. ინდიკატორები და M&E

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის საწყის ეტაპზე პროექტის წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა შეუძლებელი იყო რამდენიმე მიზეზის გამო, ესენია:

- სახელმწიფოს მხრიდან დარგების დაფინანსების შეზღუდვა, (უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა), რაც საშუალებას აძლევდა ბანკებს თითქმის ყოველგვარი დარგობრივი შეზღუდვის გარეშე გაეცათ სესხები;
- სესხის გაცემის პროცესში სახელმწიფოს ჩაურევლობა. აღნიშნულით ბანკებს სრული უფლება ქონდათ საკუთარი შეხედულებებისამებრ გაეცათ სესხები ნებისმიერ, მათთვის სასურველ კლიენტზე, იქნებოდა ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, გადასახადის გადამხდელი თუ არა.

გამომდინარე აქედან, პროექტის წარმატების ერთადერთ ინდიკატორად პროექტის საწყის ეტაპზე დადგენილი იყო ქვეყანაში არსებული აგრო კრედიტების ჯამური პორტფელის ზრდა, რაც ნამდვილად შესრულდა.

მონიტორინგი

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო შეღავათიანი აგრო კრედიტების მიზნობრივად გაცემისა და ათვისების პროცესის გასაკონტროლებლად, ახორციელებს ორი სახის - სავლე და დოკუმენტურ მონიტორინგს. დოკუმენტური მონიტორინგის დანიშნულებას წარმოადგენს ბანკების კონტროლი შეღავათიანი აგროსესხების გაცემის პროცესში, თუ რამდენად ზუსტად იცავენ ისინი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წინაშე ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, ხოლო სავლე მონიტორინგის მიზანია აკონტროლოს ფერმერები და აგრო მეწარმეები მიღებული შეღავათიანი აგროკრედიტების მიზნობრივად ათვისების კუთხით.

მონიტორინგის სამსახურის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ორივე კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხებიდან 104-ს შეუმცირდა თანადაფინანსების ვადა, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსება შეუწყდა 249 მსესხებელს.

ცხრილი 2. სესხების რაოდენობა, რომლებსაც შეუმცირდათ ვადა და შეუწყდათ დაფინანსება

| წელი | დაფინანსების ვადა შეუმცირდა | დაფინანსება შეუწყდა |
|-------------|-----------------------------|---------------------|
| 2013 | 6 | 7 |
| 2014 | 48 | 36 |
| 2015 | 34 | 130 |
| 2016 | 16 | 76 |
| ჯამი | 104 | 249 |

დაფინანსების ვადა შემცირებული სესხებიდან არცერთი არ გაპრობლემებულა და მსესხებლებმა კვლავაც გააგრძელეს მათი გადახდა ბანკებში არსებული საკრედიტო პირობების შესაბამისად.

თანადაფინანსების ვადის შემცირება გამოიწვია, ერთის მხრივ, ბანკების მიერ სესხების გაცემის პირობების დარღვევამ და მეორეს მხრივ, ბენეფიციარების მიერ აღებული სესხების არამიზნობრივად ათვისებამ.

ცხრილი 3. დაფინანსების ვადის შემცირების მიზეზები

| დაფინანსების ვადის შემცირების მიზეზი | დაფინანსების ვადა შემცირული სესხების რაოდენობა წლების მიხედვით | | | | |
|--|--|-----------|-----------|-----------|------------|
| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | სულ |
| ბანკის მიერ არამიზნობრივად გაცემა | - | 37 | 13 | 12 | 62 |
| ბენეფიციარის მიერ სესხის არამიზნობრივად ათვისება | 6 | 11 | 21 | 4 | 42 |
| ჯამი | 6 | 48 | 34 | 16 | 104 |

სააგენტოს მხრიდან საპროცენტო დანახარჯების თანადაფინანსების შეწყვეტის ზემოთ ჩამოთვლილ 2 მიზეზს, 2015 წლიდან დაემატა კიდევ მესამე მიზეზი - სააგენტოსთვის ბენეფიციარის მხრიდან სესხის მიზნობრივად ათვისების დამამტკიცებელი დოკუმენტაციის არ წარდგენა. 2015 წელს სააგენტოს მიერ მონიტორინგის დებულებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება, რაც ითვალისწინებდა ბენეფიციარის მიერ სააგენტოსთვის სესხის მიზნობრივად ათვისების დამადასტურებელი საბუთების წარდგენის ვალდებულებას.

ცხრილი 4. დაფინანსების შეწყვეტის მიზეზები

| დაფინანსების შეწყვეტის მიზეზი | დაფინანსება შეწყვეტილი სესხების რაოდენობა წლების მიხედვით | | | | სულ |
|--|---|-----------|------------|-----------|------------|
| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | |
| ბანკის მიერ არამიზნობრივად გაცემა | | 5 | 11 | 13 | 29 |
| ბენეფიციარის მიერ სესხის არამიზნობრივად ათვისება | 7 | 31 | 81 | 31 | 150 |
| ბენეფიციარის მიერ დოკუმენტაციის არ წარმოდგენა | - | - | 38 | 32 | 70 |
| ჯამი | 7 | 36 | 130 | 76 | 249 |

დაფინანსება შეწყვეტილი 249 სესხიდან გაპრობლემებული იყო მხოლოდ 2 სესხი, რომლებზეც სააგენტოს მხრიდან საჭირო გახდა მეორადი უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება 18,004 ლარის ოდენობით. დანარჩენმა 247-მა მსესხებელმა თავად გააგრძელა სესხების გადახდა ბანკებში არსებული სასესხო პირობების შესაბამისად.

3. პროექტის 2013-2016 წლების სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს „შეღავათიანი აგროკრედიტის“, როგორც ფინანსური პროდუქტის ორი კომპონენტის (ძირითადი და საბრუნავი საშუალებების) შედეგების კვლევა, ძირითადად მცირე ფერმერებისა და კოოპერატივების ჭრილში, ამ შედეგების გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. სტატისტიკური მონაცემები აღებულია მხოლოდ ამ ორი კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე. პირველი კომპონენტის სტატისტიკაში ერთიანდება ყოფილი მე-2, მე-5 და მე-6 კომპონენტების, ხოლო მეორე კომპონენტის სტატისტიკაში ყოფილი მე-3 და მე-7 კომპონენტების ფარგლებში გაცემული სესხების მონაცემები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონაცემების უმეტესობა აღებულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან. საქ.სტატისა და ეროვნული ბანკის მონაცემები ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილად ან საერთაოდ არ ასახავს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის რეალურ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით პრობლემატურია გაცემული სესხების რაოდენობისა და მოცულობის, ასევე პორტფელის ოდენობის შესახებ მონაცემების აღრიცხვა ეროვნული ბანკის მიერ. სამწუხაროდ ეროვნული ბანკის მონაცემები ვერ დაემთხვევა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებს. განსხვავების მიზეზს წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ სესხებზე მინიჭებული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით არამეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემული შეღავათიანი აგროსესხები, რომლებიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების მიხედვით მხოლოდ აგრო დანიშნულებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, აღირიცხება როგორც სამომხმარებლო სესხები.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, რომელსაც ეყრდნობა წარმოდგენილი კვლევა, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ყველა კატეგორიის (მცირე, საშუალო და მსხვილ) ფერმერზე გაცემულია 25,313 სესხი ლარში და 2260 სესხი აშშ. დოლარში, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 760,800,314 ლარსა და 240,067,498 აშშ დოლარს. პროექტის ბენეფიციარების რაოდენობაა 17,746 (აქედან 13,849 მცირე ფერმერია).

ცხრილი 5. გაცემული სესხების რაოდენობა და მოცულობა (2013-2016 წწ.)

| წელი | ყველა სახის ფერმერზე ლარში გაცემული სესხები | | ყველა სახის ფერმერზე აშშ. დოლარში გაცემული სესხები | | სულ გაღარებული | |
|------------|---|--------------------|--|--------------------|--------------------|----------------------|
| | სესხების რაოდენობა | გაცემული თანხა | სესხების რაოდენობა | გაცემული თანხა | სესხების რაოდენობა | გაცემული თანხა |
| 2013 | 5,818 | 158,117,323 | 399 | 54,702,618 | 6,217 | 302,904,213 |
| 2014 | 15,170 | 343,533,490 | 447 | 75,999,839 | 15,617 | 544,689,863 |
| 2015 | 3,269 | 185,486,310 | 579 | 56,985,143 | 3,848 | 336,314,586 |
| 2016 | 1,056 | 73,663,191 | 835 | 52,379,899 | 1,891 | 212,302,307 |
| სულ | 25,313 | 760,800,314 | 2,260 | 240,067,498 | 27,573 | 1,396,210,969 |

თუ ორივე ვალუტაში გაცემულ სესხებს გავალარებთ 2016 წლის 31 დეკემბერს არსებული კურსის (2.6468 ლარი/აშშ დოლარი) მიხედვით, მაშინ ჯამში გაცემულ თანხას მივიღებთ 1,4 მილიარდამდე ლარს.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში მცირე ფერმერებად შეფასდა ფერმერების ის კატეგორია, რომლებმაც 2013-2014 წლებში აიღეს 5000-დან 20000 ლარამდე სესხები ასეთი კლასიფიკაციის პირობებში მცირე ფერმერების სტატისტიკა წლების მიხედვით შემდეგნაირია:

ცხრილი 6. 2013-2014 წლებში მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობა და მოცულობა

| წელი | ლარში გაცემული სესხები | | აშშ. დოლარში გაცემული სესხები | | სულ გალარებული | |
|------------|------------------------|--------------------|-------------------------------|----------------|----------------|--------------------|
| | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა |
| 2013 | 3,892 | 38,971,158 | 1 | 12,000 | 3,893 | 39,002,920 |
| 2014 | 11,875 | 115,436,760 | 2 | 17,582 | 11,877 | 115,483,296 |
| სულ | 15,767 | 154,407,918 | 3 | 29,582 | 15,770 | 154,486,216 |

ცხრილი 7. გაცემული სესხების მოცულობა ბენეფიციარების კატეგორიის მიხედვით

| ფერმერების კატეგორია | 2013-2016 წლებში გაცემული სესხების მოცულობა | | |
|-------------------------------------|---|--------------|---------------|
| | ლარი | აშშ. დოლარი | გალარებული |
| მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები | 760,800,314 | 240,067,498 | 1,396,210,969 |
| მცირე ფერმერები | 154,407,918 | 29,582 | 154,486,216 |
| მცირე ფერმერების %-ული წილი | 20.20% | 0.01% | 11.10% |

ცხრილი 8. გაცემული სესხების რაოდენობა ბენეფიციარების კატეგორიის მიხედვით

| ფერმერების კატეგორია | 2013-2016 წლებში გაცემული სესხების რაოდენობა | | |
|-------------------------------------|--|--------------|---------------|
| | ლარი | აშშ. დოლარი | გალარებული |
| მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები | 25,313 | 2,260 | 27,573 |
| მცირე ფერმერები | 15,767 | 3 | 15,770 |
| მცირე ფერმერების %-ული წილი | 62.29% | 0.13% | 57.19% |

წინამდებარე ორი ცხრილიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად სულ გაცემულ სესხებში მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების წილი 57.19%-ია, თანხაში ის არ აღემატება 11.1%-ს. ვალუტების მიხედვით პროცენტული თანაფარდობები კიდევ უფრო

განსხვავებულია და მიუთითებს იმაზე, რომ მცირე ფერმერები ძირითადად ლარში ნომინირებულ სესხებს იღებენ.

მიზნობრიობების მიხედვით ყველა სახის (მცირე, საშუალო და მსხვილ) ფერმერზე გაცემული სესხების ჯამი (ლარში გამოსახული) ასე გამოიყურება:

ცხრილი 9. გაცემული სესხების მოცულობა სესხის მიზნობრიობის მიხედვით

| მიზნობრიობა | 2013-2016 წლებში გაცემული სესხების მოცულობა | | | | | |
|-----------------------|---|--------------------|--------------------|--------------------|----------------------|-------------|
| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | ჯამი | % |
| საბრუნავი საშუალებები | 109,199,726 | 197,029,512 | 113,562,551 | 40,486,898 | 460,278,686 | 33% |
| ძირითადი საშუალებები | 193,704,487 | 347,660,352 | 222,752,035 | 171,815,409 | 935,932,282 | 67% |
| ჯამი | 302,904,213 | 544,689,863 | 336,314,586 | 212,302,307 | 1,396,210,969 | 100% |

თუ მთლიანი ჯამიდან გამოვყოფთ მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობას, მაშინ მივიღებთ შემდეგ სტატისტიკას:

ცხრილი 10. მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების მოცულობა სესხის მიზნობრიობის მიხედვით

| მიზნობრიობა | მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების მოცულობა | | | |
|-----------------------|---|--------------------|--------------------|-------------|
| | 2013 | 2014 | ჯამი | % |
| საბრუნავი საშუალებები | 20,435,225 | 55,530,962 | 75,966,187 | 49% |
| ძირითადი საშუალებები | 18,567,695 | 59,952,334 | 78,520,029 | 51% |
| ჯამი | 39,002,920 | 115,483,296 | 154,486,216 | 100% |

წლების მიხედვით საბრუნავი და ძირითადი საშუალებებისთვის ყველა სახის ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობა შემდეგ სურათს გვაძლევს:

ცხრილი 11. გაცემული სესხების რაოდენობა სესხის მიზნობრიობის მიხედვით

| მიზნობრიობა | 2013-2016 წლებში გაცემული სესხების რაოდენობა | | | | | |
|-----------------------|--|---------------|--------------|--------------|---------------|-------------|
| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | ჯამი | % |
| საბრუნავი საშუალებები | 2,983 | 7,327 | 1,201 | 67 | 11,578 | 42% |
| ძირითადი საშუალებები | 3,234 | 8,290 | 2,647 | 1,824 | 15,995 | 58% |
| ჯამი | 6,217 | 15,617 | 3,848 | 1,891 | 27,573 | 100% |

ბოლო მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობის დინამიკა კი ასეთია:

ცხრილი 12. მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობა სესხის მიზნობრიობის მიხედვით


| მიზნობრიობა | მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობა | | | |
|-----------------------|--|---------------|---------------|-------------|
| | 2013 | 2014 | ჯამი | % |
| საბრუნავი საშუალებები | 2,162 | 6,177 | 8,339 | 45% |
| ძირითადი საშუალებები | 1,731 | 5,700 | 7,431 | 55% |
| ჯამი | 3,893 | 11,877 | 15,770 | 100% |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სესხების უმეტესობა გაცემულია ძირითადი აქტივების შექმნის მიზნით, რაც დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან მათი გამოყენება წარმოების პროცესში უფრო დიდი ხნის განმავლობაში მოემსახურება მსესხებელ ფერმერებს, შესაბამისად იაფი რესურსი ხანგრძლივი პერიოდით იქონიებს პოზიტიურ გავლენას მათი დანახარჯების სტრუქტურაზე.

ყველა სახის ფერმერზე გაცემული სესხების რაოდენობის მიხედვით რეგიონებს შორის კახეთი უპირობო ლიდერია, სადაც გაცემული სესხების რაოდენობა 12,678-ს აღწევს. ამ მხრივ ბოლო ადგილს იკავებს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი.


გრაფიკი 1. გაცემული სესხების რაოდენობა, რეგიონების მიხედვით

გაცემული სესხების რაოდენობა, 2013-2016 წწ.



თუ მცირე ფერმერებზე გაცემული სესხებს რეგიონების მიხედვით დავყოფთ მივიღებთ, რომ პროცენტულ გადანაწილებაში სხვაობა თითქმის არ არის.


გრაფიკი 2. 2013-2014 წლებში მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობა, რეგიონების მიხედვით



ყველა სახის ფერმერზე გაცემული სესხების ჯამის მიხედვითაც არ უთმობს კახეთის რეგიონი პირველობას საქართველოს სხვა რეგიონებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით კახეთში გაცემული სესხების ჯამური მოცულობის ნახევარზე ოდნავ მეტია საქართველოს ყველა რეგიონის ყველა სახის ფერმერზე გაცემული სესხების ჯამზე:


გრაფიკი 3. გაცემული სესხების მოცულობა, რეგიონების მიხედვით

გაცემული სესხების მოცულობა, 2013-2016 წწ.



მცირე ფერმერებზე გაცემული სესხები რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება:

გრაფიკი 4. 2013-2014 წლებში მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების მოცულობა, რეგიონების მიხედვით



რეგიონების მიხედვით გაცემული სესხების სტატისტიკაში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ, მეწარმეების იურიდიულ და ფაქტიურ მისამართებს შორის სხვაობით და მეორეს მხრივ, ერთ რეგიონში დარეგისტრირებული კომპანიის მიერ რამდენიმე რეგიონში საქმიანობის წარმართვით.

ამის საილუსტრაციოდ კარგ მაგალითს წარმოადგენს თბილისის მიკუთვნებული სესხები. თბილისში გაცემული სესხების ნაწილი განკუთვნილია თბილისის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სასოფლო ტიპის დასახლებებში არსებული ფერმერული მეურნეობებისა და აგრო საწარმოებისათვის, ასევე სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. თბილისის მიკუთვნებული სესხების მეორე ნაწილი გაცემულია ისეთ ფერმერებსა თუ აგრო საწარმოებზე, რომელთა იურიდიული მისამართი თბილისში არის მითითებული, ხოლო რეალურად საქმიანობას ეწევიან არა თბილისში, არამედ სხვა რეგიონში ან რეგიონებში. მსგავსი ფაქტები სხვა რეგიონებზეც ვრცელდება, მაგრამ არა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი თბილისში არის წარმოდგენილი.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის 45 პირველადი და გადამამუშავებელი დარგი, ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულებები, შერეული და მრავალდარგობრივი მეურნეობები. საწარმოთა კატეგორიების მიხედვით გაცემული სესხების რაოდენობა და ჯამები წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

ცხრილი 13. გაცემული სესხების რაოდენობა და მოცულობა, საწარმოე კატეგორიის მიხედვით

| საწარმოს კატეგორია | ყველა სახის ფერმერზე გაცემული სესხები | | | |
|-----------------------------|---------------------------------------|------------------|----------------------|------------------|
| | რაოდენობა | %-ული განაწილება | გალარებული თანხა | %-ული განაწილება |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 88 | 0.32% | 56,907,067 | 4.08% |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 31 | 0.11% | 10,853,258 | 0.78% |
| პირველადი საწარმოები | 6,040 | 21.91% | 175,140,497 | 12.54% |
| შემსყიდველი საწარმოები | 55 | 0.20% | 56,747,826 | 4.06% |
| შესაფუთი და ტარა მასალები | 3 | 0.01% | 3,255,564 | 0.23% |
| სულ 2013 | 6,217 | 22.55% | 302,904,213 | 21.69% |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 143 | 0.52% | 96,524,484 | 6.91% |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 28 | 0.10% | 9,576,864 | 0.69% |
| პირველადი საწარმოები | 15,358 | 55.70% | 341,577,741 | 24.46% |
| შემსყიდველი საწარმოები | 82 | 0.30% | 93,564,110 | 6.70% |
| შესაფუთი და ტარა მასალები | 6 | 0.02% | 3,446,663 | 0.25% |
| სულ 2014 | 15,617 | 56.64% | 544,689,863 | 39.01% |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 127 | 0.46% | 45,370,633 | 3.25% |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 72 | 0.26% | 7,616,916 | 0.55% |
| პირველადი საწარმოები | 3,558 | 12.90% | 212,730,775 | 15.24% |
| შემსყიდველი საწარმოები | 84 | 0.30% | 68,690,054 | 4.92% |
| შესაფუთი და ტარა მასალები | 7 | 0.03% | 1,906,209 | 0.14% |
| სულ 2015 | 3,848 | 13.96% | 336,314,586 | 24.09% |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 174 | 0.63% | 45,729,264 | 3.28% |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 186 | 0.67% | 23,469,422 | 1.68% |
| პირველადი საწარმოები | 1,473 | 5.34% | 106,210,232 | 7.61% |
| შემსყიდველი საწარმოები | 56 | 0.20% | 36,795,456 | 2.64% |
| შესაფუთი და ტარა მასალები | 2 | 0.01% | 97,932 | 0.01% |
| სულ 2016 | 1,891 | 6.86% | 212,302,307 | 15.21% |
| მთლიანი ჯამი | 27,573 | 100.00% | 1,396,210,969 | 100.00% |

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველად წარმოებაზე გაცემული სესხების რაოდენობა შემცირდა 2015-2016 წლებში, რაც შესაძლებელია აიხსნას სესხის ზღვარის 20,000 ლარამდე შეცვლით.

საწარმოს კატეგორიის მიხედვით მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების სტატისტიკა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ცხრილი 14. მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების რაოდენობა და მოცულობა, საწარმო კატეგორიის მიხედვით

| საწარმოს კატეგორია | მცირე ფერმერზე გაცემული სესხები | | | |
|-----------------------------|---------------------------------|------------------|--------------------|------------------|
| | რაოდენობა | %-ული განაწილება | გალარებული თანხა | %-ული განაწილება |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 3 | 0.02% | 0 | 0.00% |
| პირველადი საწარმოები | 3,890 | 24.67% | 38,965,920 | 25.22% |
| სულ 2013 | 3,893 | 24.69% | 39,002,920 | 25.25% |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 2 | 0.01% | 28,000 | 0.02% |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 3 | 0.02% | 37,400 | 0.02% |
| პირველადი საწარმოები | 11,870 | 75.27% | 115,385,475 | 74.69% |
| შემსყიდველი საწარმოები | 2 | 0.01% | 32,421 | 0.02% |
| სულ 2014 | 11,877 | 75.31% | 115,483,296 | 74.75% |
| მთლიანი ჯამი | 15,770 | 100.00% | 154,486,216 | 100.00% |

წინამდებარე ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მცირე ფერმერების მიერ აღებული სესხების უმეტესობა სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოებისათვის იქნა გამოყენებული. შესაბამისად, საბრუნავი საშუალებების კომპონენტის ცვლილება და მისი გადამამუშავებელ საწარმოებზე მორგება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მცირე ფერმერებისთვის შემზღუდავ ფაქტორად.

3.1. კოოპერატივები

2015 წლის 1 იანვრიდან შეღავათიანი აგროკრედიტის ქვედა ზღვრის გაზრდის ერთ-ერთ მოტივად სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ დაასახელა ფერმერული მეურნეობების გამსხვილების და მათი კოოპერაციის ხელშეწყობა. კოოპერაციის წახალისების კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედეგი მცირე ზრდით ხასიათდება:

ცხრილი 15. კოოპერატივებზე გაცემული სესხების რაოდენობა და მოცულობა

| წელი | ლარი | | აშშ დოლარი | | გალარებული | |
|-------------|---------------|------------------|---------------|------------------|---------------|------------------|
| | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა |
| 2013 | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| 2014 | 1 | 100,000 | 2 | 157,000 | 3 | 515,548 |
| 2015 | 13 | 494,100 | 5 | 553,000 | 18 | 1,957,780 |
| 2016 | 16 | 1,178,500 | 11 | 565,600 | 27 | 2,675,530 |
| ჯამი | 30 | 1,772,600 | 19 | 1,320,600 | 49 | 5,267,964 |

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სულ 49 კოოპერატივია დაფინანსებული და მათ მიერ აღებული სესხების მოცულობა არ აღემატება 5,3 მლნ ლარს. კოოპერატივების დაფინანსების სტატისტიკა მიზნობრიობის, საწარმოს კატეგორიის, რეგიონებისა და დარგების მიხედვით მოცემულია 16-19 ცხრილებში:

ცხრილი 16. შეღავათიანი აგროკრედიტის მონაცემები კოოპერატივებისთვის მიზნობრიობის ჭრილში, 31.12.2016 მდგომარეობით

| მიზნობრიობა | ლარი | | აშშ დოლარი | | გალარებული | |
|---------------------|---------------|------------------|---------------|------------------|---------------|------------------|
| | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა |
| 2013 | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| საბრუნავი საშუალება | | | | | - | - |
| ძირითადი საშუალება | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| 2014 | 1 | 100,000 | 2 | 157,000 | 3 | 515,548 |
| საბრუნავი საშუალება | 1 | 100,000 | | | 1 | 100,000 |
| ძირითადი საშუალება | | | 2 | 157,000 | 2 | 415,548 |
| 2015 | 13 | 494,100 | 5 | 553,000 | 18 | 1,957,780 |
| საბრუნავი საშუალება | 6 | 275,000 | | | 6 | 275,000 |
| ძირითადი საშუალება | 7 | 219,100 | 5 | 553,000 | 12 | 1,682,780 |
| 2016 | 16 | 1,178,500 | 11 | 565,600 | 27 | 2,675,530 |
| საბრუნავი საშუალება | | | | | - | - |
| ძირითადი საშუალება | 16 | 1,178,500 | 11 | 565,600 | 27 | 2,675,530 |
| სულ | 30 | 1,772,600 | 19 | 1,320,600 | 49 | 5,267,964 |
| საბრუნავი საშუალება | 7 | 375,000 | 0 | 0 | 7 | 375,000 |
| ძირითადი საშუალება | 23 | 1,397,600 | 19 | 1,320,600 | 42 | 4,892,964 |

ცხრილი 17. შეღავათიანი აგროკრედიტის მონაცემები კოოპერატივებისთვის საწარმოს კატეგორიის ჭრილში, 31.12.2016 მდგომარეობით

| საწარმოების კატეგორია | ლარი | | აშშ დოლარი | | გალარებული | |
|-----------------------|---------------|------------------|---------------|----------------|---------------|------------------|
| | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა |
| 2013 | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| გადამამუშავებელი | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| 2014 | 1 | 100,000 | 2 | 157,000 | 3 | 515,548 |
| ინფრასტრუქტურული | | | 1 | 109,000 | 1 | 288,501 |
| პირველადი | 1 | 100,000 | 1 | 48,000 | 2 | 227,046 |
| 2015 | 13 | 494,100 | 5 | 553,000 | 18 | 1,957,780 |
| გადამამუშავებელი | | | 2 | 133,000 | 2 | 352,024 |
| ინფრასტრუქტურული | 1 | 32,000 | 1 | 230,000 | 2 | 640,764 |
| პირველადი | 12 | 462,100 | 2 | 190,000 | 14 | 964,992 |
| 2016 | 16 | 1,178,500 | 11 | 565,600 | 27 | 2,675,530 |
| გადამამუშავებელი | 5 | 306,000 | 2 | 255,000 | 7 | 980,934 |

| | | | | | | |
|------------------|-----------|------------------|-----------|------------------|-----------|------------------|
| ინფრასტრუქტურული | 1 | 114,000 | | | 1 | 114,000 |
| პირველადი | 10 | 758,500 | 9 | 310,600 | 19 | 1,580,596 |
| სულ | 30 | 1,772,600 | 19 | 1,320,600 | 49 | 5,267,964 |

წლების მიხედვით გაიზარდა იმ რეგიონების რაოდენობაც, სადაც დაფინანსდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

ცხრილი 18. შეღავათიანი აგროკრედიტის მონაცემები კოოპერატივებისთვის რეგიონების ჭრილში, 31.12.2016 მდგომარეობით

| რეგიონი | ლარი | | აშშ დოლარი | | გალარებული | |
|-----------------|---------------|------------------|---------------|------------------|---------------|------------------|
| | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა |
| 2013 | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| სამცხე-ჯავახეთი | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| 2014 | 1 | 100,000 | 2 | 157,000 | 3 | 515,548 |
| იმერეთი | | | 1 | 48,000 | 1 | 127,046 |
| კახეთი | 1 | 100,000 | | | 1 | 100,000 |
| შიდა ქართლი | | | 1 | 109,000 | 1 | 288,501 |
| 2015 | 13 | 494,100 | 5 | 553,000 | 18 | 1,957,780 |
| აჭარა | 3 | 95,000 | 1 | 58,000 | 4 | 248,514 |
| კახეთი | 3 | 115,000 | 2 | 360,000 | 5 | 1,067,848 |
| მცხეთა-მთიანეთი | 1 | 20,000 | | | 1 | 20,000 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 1 | 37,000 | | | 1 | 37,000 |
| სამეგრელო | 1 | 20,000 | | | 1 | 20,000 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2 | 75,100 | | | 2 | 75,100 |
| ქვემო ქართლი | 2 | 132,000 | 1 | 75,000 | 3 | 330,510 |
| შიდა ქართლი | | | 1 | 60,000 | 1 | 158,808 |
| 2016 | 16 | 1,178,500 | 11 | 565,600 | 27 | 2,675,530 |
| გურია | 1 | 76,000 | | | 1 | 76,000 |
| იმერეთი | 1 | 45,000 | 1 | 25,000 | 2 | 111,170 |
| კახეთი | 1 | 80,000 | 3 | 388,000 | 4 | 1,106,958 |
| მცხეთა-მთიანეთი | 3 | 267,500 | | | 3 | 267,500 |
| რაჭა-ლეჩხუმი | | | 1 | 8,600 | 1 | 22,762 |
| სამეგრელო | 7 | 525,000 | 2 | 39,500 | 9 | 629,549 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2 | 90,000 | | | 2 | 90,000 |
| ქვემო ქართლი | 1 | 95,000 | 1 | 25,000 | 2 | 161,170 |
| შიდა ქართლი | | | 3 | 79,500 | 3 | 210,421 |
| სულ | 30 | 1,772,600 | 19 | 1,320,600 | 49 | 5,267,964 |

ცხრილი 19. შეღავათიანი აგროკრედიტის მონაცემები კოოპერატივებისთვის დარგების ჭრილში, 31.12.2016 მდგომარეობით

| დარგი | ლარი | | აშშ დოლარი | | გალარებული | |
|-------------------------------------|---------------|------------------|---------------|------------------|---------------|------------------|
| | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა | სესხების რ-ბა | გაცემული თანხა |
| 2013 | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| რძის გადამუშავება | | | 1 | 45,000 | 1 | 119,106 |
| 2014 | 1 | 100,000 | 2 | 157,000 | 3 | 515,548 |
| პროდუქციის შესანახი მაცივრები | | | 1 | 109,000 | 1 | 288,501 |
| სასათბურე მეურნეობა | | | 1 | 48,000 | 1 | 127,046 |
| შერეული მემც./მეც. | 1 | 100,000 | | | 1 | 100,000 |
| 2015 | 13 | 494,100 | 5 | 553,000 | 18 | 1,957,780 |
| მარცვლეულის წარმოება | 1 | 60,000 | | | 1 | 60,000 |
| მებაღეობა | | | 2 | 190,000 | 2 | 502,892 |
| მეზოსტნეობა | 1 | 100,000 | | | 1 | 100,000 |
| მევენახეობა | 1 | 15,000 | | | 1 | 15,000 |
| მეთევზეობა | 3 | 95,000 | | | 3 | 95,000 |
| მესაქონლეობა | 2 | 75,100 | | | 2 | 75,100 |
| მეფუტკრეობა | 2 | 57,000 | | | 2 | 57,000 |
| პროდუქციის შესანახი საწყობები | 1 | 32,000 | 1 | 230,000 | 2 | 640,764 |
| რძის გადამუშავება | | | 1 | 58,000 | 1 | 153,514 |
| სასათბურე მეურნეობა | 1 | 20,000 | | | 1 | 20,000 |
| სასაკლავოს მოწყობა | | | 1 | 75,000 | 1 | 198,510 |
| შერეული მემცენარეობა | 1 | 40,000 | | | 1 | 40,000 |
| 2016 | 16 | 1,178,500 | 11 | 565,600 | 27 | 2,675,530 |
| თაფლის გადამუშავება | 1 | 45,000 | | | 1 | 45,000 |
| თხილის გადამუშავება | 1 | 76,000 | | | 1 | 76,000 |
| მებაღეობა | 4 | 376,000 | 4 | 177,500 | 8 | 845,807 |
| მეთევზეობა | | | 1 | 25,000 | 1 | 66,170 |
| მესაქონლეობა | | | 1 | 38,000 | 1 | 100,578 |
| მეფუტკრეობა | | | 2 | 25,100 | 2 | 66,435 |
| მეღორეობა | 3 | 267,500 | | | 3 | 267,500 |
| რძის გადამუშავება | 3 | 185,000 | | | 3 | 185,000 |
| სასათბურე მეურნეობა | 2 | 65,000 | 1 | 45,000 | 3 | 184,106 |
| სასაკლავოს მოწყობა | | | 1 | 25,000 | 1 | 66,170 |
| შერეული | 1 | 50,000 | | | 1 | 50,000 |
| შერეული ინფრასტრუქტურული საწარმოები | 1 | 114,000 | | | 1 | 114,000 |
| ხილის გადამუშავება | | | 1 | 230,000 | 1 | 608,764 |
| სულ | 30 | 1,772,600 | 19 | 1,320,600 | 49 | 5,267,964 |

როგორც ცხრილებიდან ჩანს, წლების მიხედვით რეგიონების ზრდის მსგავსად, იზრდება იმ დარგების ჩამონათვალიც, რომელი დარგების პროფილითაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. თუმცა ეს ზრდა საკმაოდ ნელი ტემპით ხასიათდება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივების რაოდენობა მცირეა და გაცემული სესხების მთლიან მოცულობაში მხოლოდ 0.38%-ს შეადგენს. ნათელია, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო კოოპერატივების დაფინანსების წასახალისებლად.

3.2. პროგრამის აღქმა მცირე ფერმერების მხრიდან

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა მცირე ფერმერების დამოკიდებულებები და აღქმები შეღავათიანი აგრო კრედიტის პროგრამის მიმართ. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას (87%) და რომ პროგრამა არის წარმატებული (80%). გამოკითხულთა 77% აღნიშნავს, რომ მომავალშიც მიიღებდა მონაწილეობას პროგრამაში.

კითხვაზე, თუ რამდენად მორგებულია პროგრამა მცირე ფერმერების საჭიროებებზე, რესპოდენტთა 40%-მა უპასუხა, რომ პროგრამა ნაკლებად ითვალისწინებს მცირე ფერმერების საჭიროებებს და გამიზნულია უფრო მსხვილი ფერმერებისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კრედიტის ქვედა ზღვარი შეიცვალა 5,000-დან 20,000 ლარამდე. თუმცა, თუ შევხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების წილი მთლიან პორტფელში საკმაოდ მაღალია:

ცხრილი 20. მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების წილი მიზნობრიობის მიხედვით

| მიზნობრიობა | მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების წილი | | |
|-----------------------|---|--------|------|
| | 2013 | 2014 | ჯამი |
| საბრუნავი საშუალებები | 72.50% | 84.30% | 72% |
| ძირითადი საშუალებები | 53.50% | 68.70% | 47% |

მცირე ფერმერების მიერ დაფიქსირებული მოსაზრება, რომ პროგრამა მორგებულია უფრო მსხვილ ფერმერებზე, შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ზოგადად ქვეყნის მასშტაბით მცირე ფერმერების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული პროგრამაში. თუ შევხედავთ პროექტის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის² მონაცემებს, რომლის ფარგლებშიც 2016 წელს აღირიცხა 767,018² მცირე ფერმერი და ჩავთვლით, რომ ეს რიცხვი შეადგენს ქვეყანაში არსებული მცირე ფერმერების რაოდენობას, მაშინ გამოვა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში ჩართულია მცირე ფერმერების მხოლოდ 1.80% (13,849 ბენეფიციარი).

² მთავრობის დადგენილება # 52 ,18.01.2016, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3178423>

პროგრამის გავლენა მცირე ფერმერებზე

კვლევის შედეგების თანახმად, ბენეფიციართა უმრავლესობამ ისარგებლა „შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის“ კომპონენტით (41%), რომელსაც მოსდევს „უპროცენტო განვადება“ (26%) და „შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ (23%). რაც შეეხება კრედიტით სარგებლობის მიზნობრიობას, ის შემდეგია: 59% მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, 38% არსებული ბიზნესის გასაფართოებლად, 5% ახალი ბიზნესის დასაწყებად და 5% სხვა მიზნებისთვის.

კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად დაეხმარა პროგრამა მცირე ფერმერებს მათი მიზნების მიღწევაში. რესპოდენტთა 67%-მა დადებით უპასუხა აღნიშნულ კითხვას, 31%-მა აღნიშნა, რომ პროგრამა ნაწილობრივ დაეხმარა მიზნების მიღწევაში, ხოლო 2%-მა - რომ საერთოდ არ დაეხმარა. პროგრამის მნიშვნელობის შეფასებისას გამოკითხულთა 15%-მა აღნიშნა, რომ პროგრამის გარეშე ვერ შეძლებდნენ საკუთარი მიზნების მიღწევას; 39%-მა - რომ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებდნენ; 31%-მა - რომ პროგრამაში მონაწილეობის გარეშეც შეძლებდნენ, თუმცა ამისათვის მეტი დრო დასჭირდებოდათ; და 16%-მა - რომ შეძლებდნენ პროგრამაში მონაწილეობის გარეშე.

რაც შეეხება ეკონომიკურ გავლენას, კვლევის ფარგლებში დაისვა კითხვა, თუ როგორი ეფექტი იქონია პროგრამამ გამოკითხულთა წლიურ შემოსავლებზე. გამოკითხულთა უმრავლესობამ (62%) აღნიშნა, რომ მათი შემოსავალი გაიზარდა; გამოკითხულთა 34%-სთვის შემოსავლის ოდენობა არ შეცვლილა; ხოლო გამოკითხულთა 3%-სთვის შემოსავალი შემცირდა. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობამ (62%) აღნიშნა, რომ მათი და მათი ოჯახის სოციალური/ეკონომიკური სტაბილურობის შეგრძნება გაიზარდა, ხოლო დანარჩენებისთვის (38%) ის მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

მცირე ფერმერების წინაშე არსებული სირთულეები და პრობლემები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მცირე ფერმერების 15%-მა შეიტანა განაცხადი შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში მონაწილეობაზე, თუმცა უარი მიიღო. ორი ძირითადი პრობლემა, რომელსაც მცირე ფერმერები ასახელებენ, არის: 1) ბანკებმა მათი ქონება შეაფასეს საბაზროზე ნაკლები ღირებულებით (უარყოფილი ფერმერების 55%); და 2) ბანკებმა უარყოფითად შეაფასეს მათი ბიზნეს იდეა (უარყოფილი ფერმერების 36%). ორივე პრობლემა დადასტურდა კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებშიც.

პირველი პრობლემის არსებობა (უზრუნველყოფის დაბალი ღირებულებით შეფასება) დადასტურეს როგორც პროგრამის ბენეფიციარებმა, ისე უარყოფილმა ფერმერებმაც. მათ თანახმად, ბანკები უპირატესობას ანიჭებენ იმ აპლიკანტებს, ვისაც აქვს მაღალი ღირებულების მქონე ქონება, მაგ. ბინა თბილისში ან რომელიმე სხვა დიდ ქალაქში. ასეთი ქონება უფრო მიმზიდველია ბანკებისთვის, რადგან სესხის გაპრობლემების შემთხვევაში მისი გაყიდვა უფრო ადვილია. შესაბამისად, ბანკები უფრო დაბალი ღირებულებით აფასებენ სხვა ტიპის ქონებას. ბევრი ფერმერი თვლის, რომ ბანკები „ამდიდრებენ მდიდარ ფერმერებს“ და ჰგონიათ, რომ სესხზე განაცხადის შეტანას არ აქვს აზრი თუ ფერმერს არ აქვს ბევრი ფული (და კარგი უზრუნველყოფა).

მეორე პრობლემას (ბიზნეს იდეის უარყოფითი შეფასება) რამოდენიმე მიზეზი აქვს. ფერმერთა ნაწილი აცხადებს, რომ ბანკის თანამშრომლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგში, რომ სწორად შეაფასონ მათი იდეები. მეორეს მხრივ, ბენეფიციარების დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ბიზნეს უნარები და/ან მართვის გამოცდილება, რომ სწორად ჩამოაყალიბოს/გადმოსცეს საკუთარი იდეები. ერთობლიობაში, ეს ორივე მიზეზი ქმნის ურთიერთობის პრობლემას ბანკებსა და ფერმერებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში მცირე ფერმერებისთვის განაცხადზე უარის თქმით სრულდება.


რესპოდენტების მიერ დასახელებული კიდევ ერთი პრობლემა საშეღვათო პერიოდს უკავშირდება. არსებული საშეღვათო პერიოდები არაა საკმარისი იმისათვის, რომ ფერმერებმა შემოსავლის მიღება დაიწყონ საკუთარი ინვესტიციიდან, რაც საკმაოდ ართულებს მათთვის სესხის გადახდას. რესპოდენტთა უდიდესმა ნაწილმა (40%) სწორედ საშეღვათო პერიოდის გაზრდა დაასახელა ერთ-ერთ სასურველ ცვლილებად, რომელიც მათი აზრით, პროგრამას უფრო წარმატებულს გახდიდა.

კოოპერატივების წარმომადგენლების მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემებიც ბანკებს უკავშირდება. მათი განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კოოპერატივს გააჩნია კარგი იდეა, მაღალი შემოსავლები და მიმზიდველი უზრუნველყოფა, ბანკები მათ უარს ეუბნებიან სესხის დამტკიცებაზე. ამის მიზეზი ძირითადად კოოპერატივის წევრის/წევრების ცუდი საკრედიტო ისტორიაა.

4. პროექტის მაკრო და მიკრო ეკონომიკური შედეგების ანალიზი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებამდე და დაწყების შემდეგ კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) ეროვნული და უცხოური ვალუტით „სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერაზე“ გაცემული სესხების (ლარში კონვერტირებული) სტატისტიკა ასე გამოიყურება:


გრაფიკი 5. პორტფელის ცვლილება წლების მიხედვით



თვალშისაცემია ის ზრდა აგრო მიმართულებით გაცემული სესხებისა, რომელსაც ეროვნული ბანკი აღრიცხავს არსებული კლასიფიკატორის მიხედვით.


სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების მოცულობა პროექტის დაწყების შემდეგ, წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

გრაფიკი 6. პროექტის ფარგლებში გაცემული სესხები (გამოყენებულია ეროვნული ბანკის კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



2015-2016 წლებში გაცემების შემცირების მიუხედავად აგროკრედიტების ჯამური პორტფელი³ მაინც მზარდია:

გრაფიკი 7. პორტფელის ცვლილება წლების მიხედვით



³ პორტფელის მონაცემები გულისხმობს მთლიანი სესხების ნარჩენ მოცულობას წლების მიხედვით

5. შემზღვეველი ფაქტორები და გამოწვევები

2015 და 2016 წლებში გაცემული სესხების რაოდენობამ იკლო წინა 2013-2014 წლებთან შედარებით, რასაც რამდენიმე წინაპირობა გააჩნია:

- მთავარი მიზეზი მაინც აგრო საკრედიტო ბაზრის გაჯერებაა (კვალიფიციური მსესხებლების უდიდესმა ნაწილმა 2013-2014 წლებში უკვე აიღო სესხი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაქსიმალურად იქნა ბანკების მხრიდან იმ კატეგორიის ფერმერებისა და აგრომეწარმეების დაფინანსება, რომლებსაც ბანკები მიიჩნევდნენ კრედიტუნარიანად;
- ბანკების განცხადებით, საპროცენტო ხარჯების შემცირების გამო (რაც მნიშვნელოვანწილად პროექტის დამსახურებაა) ფერმერებისა და აგრომეწარმეების გარკვეულმა ნაწილმა შეძლო საკუთარი შემოსავლების მობილიზება და მომდევნო სამეურნეო წლისთვის საჭირო საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. საქმე ეხება ისეთ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს, ვინც არ ან ვერ აფართოებს საქმიანობას სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო;
- ბანკების შეფასებით მოხდა აგრო საკრედიტო ბაზრის გაჯერება არამეცხოველეობის მიმართულების დარგებში. ხოლო სააგენტოს მიერ მეცხოველეობის მიმართულებით გასაცემი სესხების პირობებში სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულების შეტანამ შეამცირა ფერმერების მოთხოვნა მეცხოველეობის მიმართულების სესხებზე;
- მცირე ფერმერების შემთხვევაში შემზღვეველ ფაქტორად შეგვიძლია ასევე გამოვყოთ 2015 წლის გაზაფხულზე 5000 ლარიანი ქვედა ზღვრის გაზრდა 20000 ლარამდე, რამაც 5000-დან 20000 ლარამდე სეგმენტში არსებული მსესხებლების შეზღუდვა გამოიწვია. სამაგიეროდ სახელმწიფომ დაუშვა კოოპერატივების დაფინანსება, რაც გულისხმობდა რამდენიმე მცირე ფერმერის გაერთიანებას ერთ კოოპერატივში და კოოპერატივის სახელით შეღავათიანი აგრო კრედიტის აღებას. მართალია, სახელმწიფოს განზრახვას წარმოადგენდა კოოპერაციის ხელშეწყობა, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოდელმა როგორც მცირე ფერმერებში, ისე ბანკებში ვერ პოვა ადექვატური გამოხმაურება.

გარდა სესხების რაოდენობის კლებისა, კვლევის დროს გამოვლინდა სხვა პრობლემები და გამოწვევებიც:

საკომუნიკაციო სტრატეგია. როგორც პროგრამის ბენეფიციარები და ექსპერტები (პროექტების მართვის სააგენტო, სოფლის მეურნეობის ექსპერტები, ბანკები) აღნიშნავენ, არსებობს ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში, სადაც ინტერნეტი ნაკლებად ხელმისაწვდომია და ბანკებიც არ არიან საკმარისად წარმოდგენილები. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, რესპოდენტთა 38%-მა მიიღო არასრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ, ან მიიღო ის დაგვიანებით. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ ჩატარებული კვლევის („შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება ფერმერთა საჭიროებების და მოთხოვნების ჭრილში“) თანახმად, პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა სწორად, და, შესაბამისად, ფერმერებმა

მისი სწორად ინტერპრეტაცია ვერ შეძლეს, რასაც მათი მხრიდან არასწორი მოლოდინების ჩამოყალიბება მოჰყვა.

ბანკების აღქმა. ფერმერთა დიდ ნაწილს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ბანკების მიმართ და თვლის, რომ ბანკების მიზანი მათი გაკოტრება და მათი ქონების დაუფლებაა. ამასთან ერთად, ფერმერები ფიქრობენ, რომ ბანკების საქმიანობა მიმართულია მდიდარი ფერმერების გამდიდრებისკენ, ხოლო მცირე ფერმერებისთვის ბარიერების შექმნისკენ. ზოგიერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ არც უცდია შეღავათიანი აგროკრედიტის აღება, რადგან ბანკები სესხს გასცემენ მხოლოდ მაღალი ღირებულების მქონე ქონების მფლობელ ფერმერებზე. ბანკების აღქმასთან დაკავშირებით დამატებით დაკვირვებებს გვთავაზობს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ ჩატარებული კვლევა („შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება ფერმერთა საჭიროებების და მოთხოვნების ჭრილში“):

- ფერმერთა შორის ფართოდ გავრცელებულია სტერეოტიპი, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის მისაღებად აუცილებელია „კავშირების“ არსებობა;
- ხშირად ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია რომელიმე კონკრეტული კომპონენტის გაუქმების შესახებ და ფიქრობენ, რომ ბანკები თავისი ინიციატივით ეუბნებიან უარს ამ კომპონენტის ფარგლებში სესხის მიღებაზე;
- ხშირად ფერმერებს უჭირთ ბანკების სტანდარტებისა და პროცედურების გაგება და ამიტომ ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ბანკები მათ უქმნიან ხელოვნურ ბარიერებს.

კოოპერატივები. როგორც კოოპერატივებთან დაკავშირებული სტატისტიკიდან ჩანს, კოოპერატივებზე გაცემული სესხების რაოდენობა იზრდება, თუმცა საკმაოდ ნელა. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული კოოპერატივების წარმომადგენლები თვლიან, რომ მხოლოდ ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა არ არის საკმარისი. მთავარი პრობლემა თავად ფერმერებშია, რადგან მათ უჭირთ თუნდაც უმნიშვნელო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. რესპოდენტების განცხადებით, უნდა შეიქმნას დამატებითი წამახალისებელი პირობები კოოპერატივებისთვის. გარდა ამისა, ბანკებსაც უჭირთ დადებითი გადაწყვეტილების მიღება კოოპერატივებისთვის სესხის გაცემაზე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც კოოპერატივები აკმაყოფილებდნენ ბანკის ყველა მოთხოვნას, მაგრამ მაინც ექმნებოდათ სესხის დამტკიცებისას პრობლემები, რადგან კოოპერატივის წევრს/წევრებს ჰქონიათ პრობლემური სესხი⁴.

უზრუნველყოფა. ფერმერებისთვის კვლავაც პრობლემად რჩება საბანკო უზრუნველყოფა. ბანკები უპირატესობას ანიჭებენ მაღალი ღირებულების და ლიკვიდურობის მქონე უზრუნველყოფას. ზოგიერთი ფერმერი აღნიშნავს, რომ ბანკები ითხოვენ ბინებს თბილისში (ან

⁴ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ ჩატარებული კვლევა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება ფერმერთა საჭიროებების და მოთხოვნების ჭრილში“

მსგავს, მაღალი ღირებულების მქონე უზრუნველყოფას) და უარს ეუბნებიან ისეთ ფერმერებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას.

საშეღავათო პერიოდი. ამჟამად არსებული საშეღავათო პერიოდები საკმაოდ მცირეა და არ აძლევს ფერმერებს იმის საშუალებას, რომ საკუთარი ინვესტიციიდან შემოსავლის მიღება დაიწყონ, რაც საკმაოდ ართულებს მათთვის სესხის გადახდას.

სოფლის მეურნეობის ექსპერტები ბანკებში. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული ფერმერები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბანკებს უჭირთ პროექტის სწორად შეფასება, განსაკუთრებით თუ ის სოფლის მეურნეობის დარგში ინოვაციურ იდეებთან არის დაკავშირებული, რაც ბანკებში სოფლის მეურნეობის ექსპერტების ნაკლებობით არის გამოწვეული⁵.

⁵ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია „ადამიანები გაჭირვებაში“ (People in Need) მიერ ჩატარებული კვლევა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება ფერმერთა საჭიროებების და მოთხოვნების კრილში“

6. დასკვნები და წინადადებები

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება, განსაკუთრებით მცირე ფერმერების და კოოპერატივების ჭრილში.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის კვლევისას გამოიკვეთა საკითხები, რომლებსაც რეკომენდაციების სახით გთავაზობთ. ჩვენი აზრით, მათი გათვალისწინება კიდევ უფრო მრავალმხრივს, მომხმარებელზე ორიენტირებულს და ეფექტურს გახდის პროექტს. ასევე გააადვილებს პროექტის ანალიზისა და შედეგების შეფასების პროცესს.

უფრო დახვეწილი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება. როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს გარკვეული პრობლემები პროგრამის პოტენციური ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდებასთან დაკავშირებით.

ფერმერების დიდ ნაწილს გააჩნია პროგრამის შესახებ არასრული ინფორმაცია ან არასწორი აღქმები. ხშირ შემთხვევაში, ფერმერებმა არ იციან პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, მაგ. გაუქმებული ან ახლად დამატებული კომპონენტები, დაკრედიტების ლიმიტების ცვლილება და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია ინტენსიური საინფორმაციო კამპანიის გატარება პროგრამის განხორციელების ყოველ ეტაპზე, რათა ფერმერებს ჰქონდეთ ზუსტი და უახლესი ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე ეფექტური საკომუნიკაციო არხებია ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი, ხოლო მათ მოსდევს პროფესიული/სამეგობრო წრე და პროგრამაში ჩართული ბანკები. რადგან ტელევიზიას აქვს ყველაზე დიდი დაფარვა, აუცილებელია ამ საკომუნიკაციო არხის უფრო ინტენსიურად გამოყენება. პროექტების მართვის სააგენტომ უნდა უზრუნველყოს პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლის/ცვლილების ფართოდ გამუქება. ინფორმაციის უკეთ გავრცელების მიზნით ასევე შესაძლებელია რეგიონალური ტელევიზიების გამოყენებაც. მაგალითად, ბევრ რეგიონალურ ტელევიზიას აქვს სასოფლო-სამეურნეო ტელე-შოუები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პროგრამის ბენეფიციარების წარმატების ისტორიების გაზიარება.

სესხის პირობების დახვეწა და ბენეფიციარების საჭიროებებზე მათი უკეთ მორგება. ეს პირველ რიგში ეხება საშეღავათო პერიოდს, რომელიც ბანკებმა უკეთ უნდა განსაზღვრონ. თუმცა, სახელმწიფომაც შეიძლება მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა. აღნიშნულის კარგი მაგალითია თი-ბი-სი ბანკის მიერ შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი პროდუქტი - აგრო-საინვესტიციო სესხი, რომლის მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი 5 წელია. აგრო-საინვესტიციო სესხი მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებით დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს აღებული სესხის ძირი თანხის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ განახორციელოს, რაც სესხით გაშენებული ბაღი კომერციულ მსხმოიარობაში შევა. საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მსესხებელი არ განახორციელებს სესხის ძირი თანხების დაფარვას გასაშენებელ კულტურაზე დამოკიდებული. სახელმწიფოს შეუძლია ბანკები წაახალისოს მსგავსი პროდუქტების შესაქმნელად.

უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეცვლა. როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები კვლავაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს მცირე ფერმერებისთვის და ხშირად ხდება სესხზე უარის მიღების მიზეზი. სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, რათა ბანკებმა გადახედონ საკუთარ პოლიტიკას უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მართალია, დღეისათვის პროექტების მართვის სააგენტო ახდენს ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 50%-მდე მეორად უზრუნველყოფას, თუმცა აშკარაა, რომ ეს ვერ აგვარებს პრობლემას.

კოოპერატივების დასაფინანსებლად უკეთესი პირობების შექმნა. კოოპერატივების შემთხვევაში, უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები კიდევ უფრო დიდ პრობლემებს ქმნის. ხშირ შემთხვევაში ბანკები უარს ამბობენ კოოპერატივების დაფინანსებაზე, თუ კოოპერატივის რომელიმე წევრ/წევრებს გააჩნია უარყოფითი საკრედიტო ისტორია. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატივის, როგორც ცალკე იურიდიული ერთეულის ქონებას, და არა მისი ცალკეული წევრების საკრედიტო ისტორიებს.

ფერმერების ბიზნეს-უნარების და ცოდნის დახვეწა. მცირე ფერმერების დიდ ნაწილს აქვს სოფლის მეურნეობის სფეროში კარგი ცოდნა, თუმცა არ გააჩნია ბიზნეს-უნარები. ხშირად, ისინი ვერ ამზადებენ ბიზნეს გეგმებს და სწორად ვერ აწვდიან საკუთარ იდეებს ბანკებს. არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად, სახელმწიფომ უნდა შექმნას/გააფართოვოს საკონსულტაციო/ექსტენციის ცენტრები.

ბანკის ექსპერტებისთვის ტრენინგების ჩატარება. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგჯერ ბანკის თანამშრომლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგში, რომ სწორად შეაფასონ ფერმერების იდეები. ამ სიტუაციაში კარგი გამოსავალი იქნება უფრო ინტენსიური და რეგულარული ტრენინგების ჩატარება მათთვის.

ქალების და ახალგაზრდების ჩართულობის მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არანაირი ბარიერები ქალებისა და ახალგაზრდების პროგრამაში მონაწილეობისათვის, მათი პროგრამაში ჩართულობის დონე მაინც დაბალია. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას ქვეპროგრამა/ქვეკომპონენტი, რომელიც წაახალისებს ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობას აღნიშნულ პროგრამაში.

პრიორიტეტული კომპონენტების შექმნა. სოფლის მეურნეობის სექტორების განვითარების შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე შესაძლებელია გამოიყოს პრიორიტეტული მიმართულებები. მაგალითად, ისეთი სექტორები, სადაც საქართველოს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ექსპორტს და გააძლიერებს ქვეყნის პოზიციებს საერთაშორისო ვაჭრობაში.

ზოგიერთ სექტორში საბრუნავი საშუალებების დაფინანსების შესაძლებლობის დამატება. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ მაღალ პროდუქტიულ დარგებს, როგორცაა მეცხოველეობა, სათბურები, ა.შ. მსგავსი სექტორების მხარდაჭერა დადებითად მოქმედებს სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე. შესაბამისად, ასეთი გამონაკლისების გაკეთება მომგებიანი იქნება ყველასათვის.

დანართი 1. კითხვები ფოკუს ჯგუფისთვის

მიზანი #1: შეაფასეთ პროექტის ამოცანების მნიშვნელოვნობა

- 1) თქვენი აზრით, რა არის პროექტის მთავარი ამოცანები? შეესაბამება თუ არა ისინი მცირე ფერმერების მოთხოვნილებებს (ქალების და კაცების ჩათვლით)?
- 2) რა უნდა იყოს ამგვარი პროექტის მთავარი მიზანი?
- 3) არსებობს თუ არა რაიმე დამატებითი კომპონენტები, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ამგვარ პროექტში, მაგრამ არ არის წარმოდგენილი? კერძოდ, რომელი?

მიზანი #2: შეაფასეთ პროექტის ზეგავლენა.

- 1) თქვენი აზრით, რა არის პროექტის მთავარი მიღწევები? რა ცვლილებები მოუტანა მან მიზნობრივ ან სამიზნე ჯგუფებს?
- 2) რა არის/რომელია პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეები?
- 3) რაში მდგომარეობდა პროექტის ზემოქმედების ეფექტი სხვადასხვა მიზნობრივ/სამიზნე ჯგუფზე (მცირე ფერმერებზე, ქალებზე)? შეუწყო თუ არა პროექტმა ხელი ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას?

მიზანი #3: შეაფასეთ პრობლემები და გამოწვევები

- 1) რამდენად მოიცავდა პროექტი მცირე ფერმერებს, ქალებს?
- 2) რა მოჰყვებოდა პროექტის გაუქმებას მიზნობრივი/სამიზნე ჯგუფებისთვის?
- 3) რა ძირითად პრობლემები გამოვლინდა პროექტის განხორციელების მსვლელობაში?
- 4) არსებობს თუ არა რაიმე დამატებითი კომპონენტები, რომლებიც პროექტს უნდა მიემატოს მისი მეტი ეფექტურობისა და მდგრადობისთვის?

მიზანი #4: წარმოადგინეთ რეკომენდაციები

- 1) რას შეცვლიდით პროექტში (კომპონენტები/პროცედურები/მიზნობრივი ან სამიზნე ჯგუფები და ა.შ.)?
- 2) როგორ შეუძლია პროექტს კიდევ უფრო მეტი შედეგის შექმნა?
- 3) რაში მდგომარეობს თქვენი მთავარი რეკომენდაცია?

დანართი 2. კითხვარი

1. პირადი ინფორმაცია რესპონდენტზე
 - ა) გამოკითხვის ჩატარების თარიღი
 - ბ) რესპონდენტის ფაქტობრივი მისამართი (სოფელი, თემი, მუნიციპალიტეტი, რეგიონი)
 - გ) რესპონდენტის სქესი

2. წარმოადგენს თუ არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა თქვენს ძირითად საქმიანობას
 - ა) დიახ
 - ბ) ნაწილობრივ
 - გ) წარმოადგენს დამატებით საქმიანობას

3. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტატუსი
 - ა) დამქირავებელი / დამსაქმებელი (*მეწარმე, მეურნე დაქირავებული მუშახელით*)
 - ბ) დაქირავებული
 - გ) თვითდასაქმებული (*პირადი / საოჯახო მეურნეობა*)

4. რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწვევით
 - ა) პირველადი წარმოება
 - ბ) გადამუშავება

5. რამდენი ჰექტარი მიწა გაქვთ საკუთარ მფლობელობაში?
_____ ჰა

6. რამდენ ტონა პროდუქციას აწარმოებთ წლის განმავლობაში?

7. გსმენიათ თუ არა შეღავათიანი აგრო პროექტის შესახებ
 - ა) მსმენია. ვიცი პროექტის დეტალები
 - ბ) ყური მომიკრავს პროექტის არსებობის შესახებ
 - გ) არ მსმენია

8. რომელ ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების მიერ მოხდა თქვენი პროექტის შესახებ ინფორმირებულობა. შეგიძლიათ დააფიქსიროთ 1-ზე მეტი პასუხი
 - ა) ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი
 - ბ) ბეჭდვითი მედია, სარეკლამო ბროშურები / პოსტერები
 - გ) პირადი საუბრები პროფესიულ ან/და სამეგობრო წრეებში
 - დ) პროექტში ჩართული კომერციული ბანკების მიერ
 - ე) სხვა (*მიუთითეთ*) _____

9. გისარგებლიათ თუ არა შეღავათიანი აგროკრედიტით?
- მისარგებლია
 - არ მისარგებლია (გთხოვთ გადახვიდეთ კითხვა N 22 - ზე)
 - შევიტანე განაცხადი, თუმცა უარი მივიღე (გთხოვთ გადახვიდეთ კითხვა N 18 -ზე)
10. გთხოვთ, მიუთითოთ თუ შეღავათიანი აგროკრედიტის რომელი კომპონენტებით გისარგებლიათ. შეგიძლიათ დააფიქსიროთ 1-ზე მეტი პასუხი
- უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება)
 - საბრუნავი საშუალებების და მარაგების მცირე ვადიანი დაფინანსება
 - ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით
 - შეღავათიანი აგროლიზინგი
 - ყურძნის შესყიდვისთვის განკუთვნილი კრედიტი
 - სამრეწველო მანდარინისა და ვაშლის შესყიდვისთვის განკუთვნილი კრედიტი
 - სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ აგრონაწილი
11. რისთვის გამოიყენეთ შეღავათიანი აგროკრედიტი:
- მიმდინარე საქმიანობების დასაფინანსებლად
 - საქმიანობის გასაფართოებლად
 - ახალი ბიზნესის დასაწყებად
 - სხვა _____
12. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენს მიერ აღებული აგრო-კრედიტის დეტალები.
- აღებული აგრო-კრედიტების რ-ბა:
 - რამდენი იყო თქვენს მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა?
 - პირველი დამტკიცებული აგროკრედიტის თარიღი (თვე, წელი)
 - პირველი დამტკიცებული აგროკრედიტის თანხა:
 - პირველი აგროკრედიტის ხანგრძლივობა (თვეების რ-ბა):
 - პირველი აღებული აგროკრედიტის ვალუტა:
 - პირველი აღებული აგროკრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:
13. რა სახის უზრუნველყოფით მოხდა თქვენს მიერ აგრო კრედიტის აღება?
- კომერციული ფართი
 - ბინა (გთხოვთ, მიუთითოთ: ქალაქი, სოფელი)
 - კერძო სახლი (გთხოვთ, მიუთითოთ: ქალაქი, სოფელი)
 - სასოფლო-სამეურნეო მიწა
 - სხვა
14. დაგეხმარათ თუ არა თქვენს მიერ აღებული აგრო-კრედიტი/ები თავდაპირველი მიზნის / მიზნების განხორციელებაში?
- დამეხმარა

ბ) ნაწილობრივ დამეხმარა

გ) ვერ / არ დამეხმარა

დ) სხვა (მიუთითეთ) _____

15. აგრო-კრედიტით სარგებლობის გარეშე შეძლებდით თუ არა თქვენი მიზნის მიღწევას?

ა) შევძლებდი

ბ) შევძლებდი, თუმცა უფრო მეტი დრო დამჭირდებოდა

გ) შევძლებდი ნაწილობრივ

დ) ვერ შევძლებდი

16. აგროკრედიტით სარგებლობის პერიოდში ან/და მის მომდევნოდ, გაგეზარდათ თუ შეგიმცირდათ მიღებული ყოველწლიური (ჯამური) შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან?

ა) გაიზარდა ___ ლარით

ბ) შემიმცირდა ___ ლარით

გ) მნიშვნელოვნად არ შეცვლილა

17. გაიზარდა თუ არა თქვენი ან/და თქვენი ოჯახის სოციალურ / ეკონომიკური სტაბილურობის შეგრძნება შეღავათიან აგროპროექტში მონაწილეობის შედეგად?

ა) გაიზარდა

ბ) არ შეცვლილა

გ) შემცირდა

18. აგროკრედიტის მოხმარების პროცესში, შეგქმნიათ თუ არა პრობლემები?

ა) არ შემქმნია

ბ) გაიზარდა ყოველთვიური შენატანი, ვალუტის კურსის ცვლილების გამო

გ) სტიქიამ გამინადგურდა მოსავალი, შესაბამისად გამიჭირდა ყოველთვიური შენატანების გაკეთება

დ) სხვა _____

19. აგროკრედიტის დამტკიცების, ასევე მისი შემდგომი მოხმარების პროცესში, ხომ არ გადააწყდით ხელოვნურ ბარიერებს, რომლებიც თქვენ ჩათვალეთ საკუთარი თავის მიმართ გარკვეულ დისკრიმინაციულ ქმედებად / უსამართლობად (შეგიძლიათ დააფიქსიროთ 1-ზე მეტი პასუხი)

ა) ბარიერები არ შემხვედრია

ბ) სქესობრივ ჭრილში

გ) ეთნიკურ ჭრილში

დ) რელიგიურ ნიადაგზე

ე) სასაუბრო ენასთან დაკავშირებით

ვ) სხვა (მიუთითეთ) _____

20. შედეგით თუ არა მე-18 კითხვაში თქვენს მიერ დაფიქსირებული ბარიერების/ დაბრკოლებების გადალახვა?

- ა) შევძელი
- ბ) ნაწილობრივ შევძელი
- გ) ვერ შევძელი

21. (გთხოვთ უპასუხოთ სესხის განაცხადზე უარის მიღების შემთხვევაში). აგროკრედიტის აღების პროცესში, რა სახის პრობლემები შეგექმნათ? დადებითი პასუხის შემთხვევაში შეგიძლიათ დააფიქსიროთ 1-ზე მეტი პასუხი

- ა) კომერციულმა ბანკმა დაბალი ღირებულებით შეაფასა ჩემი უზრუნველყოფა
- ბ) კომერციულმა ბანკმა არ მიიღო ჩემი უზრუნველყოფა
- გ) ვერ მოვახერხე თანამონაწილეობისთვის საჭირო თანხის შოვნა / შეგროვება
- დ) კომერციულმა ბანკმა უარყოფითად შეაფასა ჩემი იდეა
- ე) არ შემქნია
- ვ) სხვა _____

22. (გთხოვთ უპასუხოთ სესხის განაცხადზე უარის მიღების შემთხვევაში). კომერციული ბანკის მიერ სესხის გაცემაზე მიღებული უარის შემდეგ შედეგით თუ არა თქვენი გეგმების განხორციელება შელავათიანი აგროკრედიტის გარეშე?

- ა) ვერ შევძელი
- ბ) შევძელი საკუთარი სახსრებით
- გ) შევძელი ჩვეულებრივი სამომხმარებლო/ბიზნეს სესხის მეშვეობით
- დ) შევძელი სხვა, კერძოდ ნასესხები თანხების მეშვეობით

23. (გთხოვთ უპასუხოთ იმ შემთხვევაში, თუ არც გიცდიათ შელავათიანი აგროსესხის აღება). რატომ არ გისარგებლიათ შელავათიანი აგროსესხით?

- ა) არ დამჭირვებია დამატებითი სახსრები ჩემი საქმიანობისთვის
- ბ) დამჭირდა დამატებითი თანხა ჩემი ბიზნესისთვის, მაგრამ არ მიცდია შელავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა, რადგან მისი პირობები არ მაკმაყოფილებს (მიუთითეთ):
 - საპროცენტო განაკვეთი მაღალია
 - საშელავათო პერიოდი მცირეა
 - ქვედა ზღვარი მაღალია
 - სხვა _____
- გ) ვთვლი, რომ აზრი არ ჰქონდა განაცხადის შეტანას, რადგან კომერციული ბანკი მაინც არ დამიმტკიცებდა სესხს
- დ) სხვა _____

24. თვლით თუ არა არა, რომ შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამა ხელს უწყობს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას?

- ა) კი
- ბ) არა

25. თვლით, რომ პროგრამა ითვალისწინებს მცირე ფერმერების საჭიროებებს?
ა) კი, პროგრამა ითვალისწინებს ყველა ზომის ფერმერის საჭიროებებს
ბ) არა, პროგრამა მორგებულია უფრო დიდი ზომის ფერმერებზე/საწარმოებზე
26. მთლიანობაში, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს დაახასიათებდით როგორც:
ა) წარმატებულს
ბ) წარუმატებელს
27. ისარგებლებდით თუ არა შეღავათიანი აგროპროექტით მომავალში?
ა) აუცილებლად ვისარგებლებდი
ბ) ვისარგებლებდი
გ) ამჟამად არ მაქვს პასუხი
დ) აღარასდროს
ე) სხვა _____
28. პროექტის რომელ კომპონენტებს შეცვლიდით მის გასაუმჯობესებლად
ა) საპროცენტო განაკვეთი
ბ) საკრედიტო თანხის ზედა / ქვედა ზღვარი
გ) აშშ დოლარში/ ევროში კრედიტის აღების შესაძლებლობა საკრედიტო თანხასთან მიმართებაში
დ) საშეღავათო პერიოდი
ე) სხვა _____
29. თუ ჩვენ გამოგვჩა რომელიმე თემა, ხოლო თქვენ გაქვთ მასზე საუბრის სურვილი, გთხოვთ მოკლედ აგვიღწეროთ
30. თქვენი კომენტარები, შეთავაზებები, სხვა ...

